Heute besuchen die Enkel von Raisa die Sonntagsschule, und Raisa beteiligt sich auch gerne selbst mit der Erziehung ihrer Urenkel. Die Möglichkeit zu beobachten, wie ihre Urenkel aufwachsen, ist eine Quelle der Freude.

Wir wünschen Ihnen, liebe Raisa, Freude und Gesundheit. Wir freuen uns, dass Sie immer da sind, sei es bei Gottesdiensten, im Frauenklub und auch allen Veranstaltungen der Gemeinde und Kirche. Bewahre Sie Gott!

***Gajana Melkonjan,
Vorsitzende des Gemeinderates der Friedenskirche Rustawi***

BEZEICHNET DAS STERBEN WENIGSTENS NICHT ALS TOD...


Der menschliche Verstand kann das Geheimnis des Lebens und des Todes nicht begreifen, die Wege des Schicksals und den Willen Gottes nicht verstehen.

Unser Gemeindemitglied **Liana Taranowa** ist im Alter von 78 Jahren gestorben. Sie war ein Mensch, für den vor allem zwischenmenschliche Beziehungen sehr wertvoll waren. Ihr Leben war ein eindrucksvolles Beispiel ehrlicher Freundschaft, hingebungsvoller Güte und wahrer Liebe. Sie war eine aktive Lehrerin in der Sonntagsschule von Bolnisi. Jahre lang unterrichtete sie Deutsch und führte Theatervorstellungen mit Kindern in deutscher Sprache auf. Trotz ihrer eingeschränkten körperlichen Möglichkeiten war sie sehr aktiv und tüchtig – ja, eine ganz besondere Frau!

Der Abschied von ihr war genauso schlicht wie Liana selbst. Das gab uns noch einmal zu bedenken, was den Sinn unseres Daseins ausmacht.

Der Herr möge ihr ewige Ruhe geben im Himmelreich, wo es kein Leid und keinen Schmerz gibt, sondern nur Freude und ewiges Leben.

*Nazi Londaridze
Vorsitzende der Gemeinde Bolnisi*



HELLES ANDENKEN



Kurz vor Weihnachten 2021 ist **Laura Popova** im Krankenhaus an Corona gestorben. Niemand von unseren Pastoren und Gemeindegliedern wusste von ihrer Erkrankung und ihrem Tod, und so konnten wir ihr leider nicht das letzte Geleit geben. Es war für mich besonders traurig, weil mich mit Laura gute und freundschaftliche Beziehungen verbanden. Seit 1993 besuchte sie unsere Versöhnungskirche; 1999 wurde Laura konfirmiert. Sie verpasste keinen einzigen Gottesdienst, keine einzige Veranstaltung. Wenn wir uns im Speisesaal des Saltet-Hauses getroffen haben, konnten wir uns lange unterhalten. Sie war ein kultivierter und hoch gebildeter Mensch und eine angenehme Gesprächspartnerin. Ihr ganzes Leben lang arbeitete Laura als Lehrerin der deutschen Sprache. Leider haben wir uns seit dem Beginn der Pandemie nicht mehr gesehen, als Laura wegen ihres Gesundheitszustands die Kirche und die Suppenküche im Saltet-Haus nicht mehr besuchen konnte. Wir hatten aber Kontakt per Telefon und unterstützten einander. Im Mai 2022 wäre sie 80 Jahre alt geworden. Laura – diesem wunderbaren Menschen – sei ein helles Andenken bewahrt!

Pastorin Irina Solej

მაისის თვის ღოჯუნები
ვლოცულობ, რომ კეთილი გზით გავლდეს და
ჯანმრთელად იყო,
როგორც შენი სული დადის კეთილად.

იოანეს მესამე წერილი, 2

„მთავარია ჯანმრთელობა?!“

მთავარია ჯანმრთელობა!“ ეს სიტყვები ხშირად მესმის „სტუმრობის დროს, განსაკუთრებით ასაკოვანი ხალხისგან, რომლებიც უფრო ცხადად აღიქვამენ საკუთარ სისუსტეს, ვიდრე ახალგაზრდები. თუმცა ფიზიკური ჯანმრთელობა რომ ყველაფერი არ არის, ვფიქრობ, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კარანტინის დროს ამაში ყველა დარწმუნდა. ამ დროს ადამიანები, მართალია, ფიზიკურად ჯანმრთელები იყვნენ, თუმცა ბევრი მარტოსულობას განიცდიდა, ბევრს ფსიქიკური და სულიერო პრობლემები აწუხებდა ან უბრალოდ ძალიან შორს იყო ბედნიერებისგან. ჰარვარდის კვლევის თანახმად 2017 წელს დადასტურდა, რომ ფული, წარმატება და ჯანმრთელობა კი არ არის გადამწყვეტი ადამიანის ბედნიერებისთვის, არამედ ურთიერთობები. ამასთან არ აქვს მნიშვნელობა, რამდენ ხანს გრძელდება ეს ურთიერთობები.

ორივე – ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ეს იოანეს მესამე წერილის ავტორმაც კარგად იცოდა 2000 წლის წინ. მისი წერილის დასაწყისში ის პირდაპირ ამბობს – და ეს გახლავთ მაისის თვისთვის განკუთვნილი სიტყვები: “ვლოცულობ, რომ კეთილი გზით გავლდეს და ჯანმრთელად იყო, როგორც შენი სული დადის კეთილად.”

და თუ გერმანულში “სხეულის და სულის” კეთილად ყოფნაზე ვსაუბრობთ, ეპისტოლეს ავტორი პირველ რიგში “სულს” მოიხსენიებს და შემდეგ ჯანმრთელობას და ამით ცხადყოფს, რომ ჯანმრთელობა სულაც არ არის ყველაფერი. მაგრამ კარგად ყოფნისთვის რომ ორივე მნიშვნელოვანია, ამაში ავტორთანაც ვრწმუნდებით.

და რადგან ის სურვილად, კურთხევად აყალიბებს ამ სიტყვებს, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ კარგად ყოფნა და ჯანმრთელობა მარტო ჩვენს ხელთ როდია. რა თქმა უნდა, შეგვიძლია თავს

გავუფრთხილდეთ, ჯანრმთელობაზე ვიზრუნოთ, თუმცა ის მაინც საჩუქარია. იოანეს ეპისტოლეს დასაწყისში ჩადებულია ღვთის კურთხევის სურვილი: “მთავარია კურთხევა”.

მინდა გისურვოთ ყოველ მხრივ კარგად და ჯანმრთელად ყოფნა,რათა ჩვენი სულები კეთილად დადიოდნენ ამ ქვეყანაზე.

საუბისკობოსო ვიზიტატორი როლფ ბარაის

მიმართვა

სამრევლოებს საქართველოს და სამხრეთ კავკასიის ევანგელიურ-ლუთერულ ეკლესიაში:

უმძრუნებულები და გაოგნებულები ვართ ჩვენს მეზობელ უკრაინაში მიმდინარე ომის გამო. უმძრუნებულები და გაოგნებულები შევყურებთ, როგორ იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები. როგორც ეკლესია, ვგმობთ ძალადობას, უფლებების ხელყოფას და მსხვერპლის მხარეზე ვართ, რომელიც ამ ომს შედეგად მოყვება, პირველ რიგში, უკრაინაში, შემდეგ კი რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. ჩვენ, სამხრეთ კავკასიის ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია მჭიდროდ ვართ დაკავშირებული უკრაინის და რუსეთის ლუთერულ ეკლესიებთან და სამრევლოებთან. დაკავშირებული ვართ სამართლიანი მშვიდობისთვის, ტანჯვის და ომის დასასრულისთვის და სამართლიანობის აღდგენისთვის ღოცვით. ღმერთი მშვიდობის და სამართლიანობის ღმერთია. გერმანიის ევანგელიური ეკლესიის (EKD) უმაღლესმა წარმომადგენელმა და ამავე ეკლესიის საბჭოს თავმჯდომარემ ანეტე კურშუსმა ბერლინში გამართულ სამშვიდობო აქციაზე წარმოთქვა სიტყვები, რომლებსაც ჩვენც ვუერთდებით: ევროპაში ომი მძვინვარებს. რაც ამდენ ხანს წარმოუდგენლად მიგვაჩნდა, რეალობად იქცა. ეს რეალობა სასტიკია. ერთი ქვეყანა მეორეს დაესხა თავს. ქვეყანა არა – მინდვრები, სახნავ-სათესები და მდინარეები არავის ესხმის თავს. ომში ისინიც ადამიანებივით იტანჯებიან. ერთი ქვეყნის მატყუარა და ძალაუფლებას მოწყურებულმა მთავრობამ ძალადობრივად გზით და ყოველგვარი კანონის დარღვევით უბრძანა თავის ჯარისკაცებს, თავს დასხმოდნენ მეორე ქვეყანას. ეს დანაშაულია. ადამიანებს უკრაინაში აფეთქებენ და ბომბებს ესვრიან, ისინი თავს იცავენ, ასობით ათასი

ადამიანი სარდაფებს აფარებს თავს ან ქვეყნიდან გარბის საკუთარი და თავიანთი შვილების სიცოცხლის გადასარჩენად. არც ესხმის თავს ერთმანეთს. მამაცი დემონსტრანტები, მწერლები, მეცნიერები და ხელოვანები გამოდიან მოსკოვში ომის საწინააღმდეგო აქციებზე. საკუთარი მთავრობა ესხმის თავს ყველას, ვინც საბრძოლველად გაგზავნილი ახლობელი ადამიანების სიცოცხლეზე ღელავს. დავიცვათ სიზუსტე ფიქრებსა და სიტყვებში. შეძრწუნების მიუხედავად, ჩვენი პოზიცია უცვლელი რჩება: არ მივცემთ უფლებას სიძულვილს, წარგვმართოს. ჩვენ წინ აღვუდგებით ძალადობის სპირალს. ჩვენ ვერ გავუკეთებთ ომის მოყვარულ რუსეთის სამხედრო წრეებს საჩუქარს და მის ხალხს ვერ შევიძულებთ. სიძულვილის ომში არ ჩავერთებით. და (. . .) ყველგან ავიმადლებთ ხმას, სადაც დემოკრატის და რწმენის გამოყენებას შეეცდებიან ავტოკრატიული ძალაუფლების ამ საშინელ თამაშში. მახსენდება ბიბლიის იგავი კაენსა და აბელზე. „ეს რა ჩაიდინე?“, ჰკითხა უფალმა ძმისმკვლელს. „ეს რა ჩაიდინე, შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღალადებს“. უკრაინაში დაღვრილი სისხლი ცას შეჰღალადებს. ცას შეჰღალადებს ძმური ერების მტრობის ამბავი. ოჯახების ნგრევის ამბავი. ზეცა ამ ღალადის მოსასმენად არ დაყრუვდება და არ დამუნჯდება. მსხვერპლს და მოძალადეს სამართალი ელის – მე ამის იმედი მაქვს, ამისთვის ვლოცულობ. არა მხოლოდ მოკლულების სისხლი, არა მხოლოდ მებრძოლების შიშით დაღვრილი ოფლი, არა მხოლოდ ლტოლვილების ცრემლები შეჰღალადებს ცას. ჩვენი სოლიდარობის ხმებიც ცამდე აღწევს, ჩვენი ფიქრები და ლოცვები, ჩვენი შეძრწუნებული დუმილიც კი (...) ომში ბრძოლა იარაღით ხდება. თუმცა სიტყვები და ფიქრები, ჭორები და ტყუილები, საკუთარი და სხვების ყალბი სურათებიც იარაღია. ნუ გვეგონება, რომ არაფრის გაკეთება შეგვიძლია! ნუ გვეგონება, რომ ჩვენს სიტყვებს, ფიქრებს და სურათებს ძალა არ აქვს. ომისთვის მთავარი საბრძოლო იარაღია, მშვიდობისთვის კი ჩვენ. ჩვენ უნდა შევძლოთ სწორი სიტყვების მოძებნა, უსამართლობისთვის სახელის დარქმევა – და არა სიძულვილი. ჩვენ უნდა შევძლოთ უკრაინაში ნაწამები და მეზობელ ქვეყნებში შეშინებული ადამიანებისადმი სოლიდარობის გამოჩენა – არა იაფფასიანი სოლიდარობის, არამედ ისეთის, რომლისთვისაც საფასურის გადახდა მოგვიწევს. ჩვენ უნდა გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება რუსეთში იმ ადამიანების მიმართ, ვინც ომის წინააღმდეგია. ჩვენ უნდა დავესმართოთ ლტოლვილობაში მყოფ ადამიანებს,

გავუხსნათ მათ ახალი გზები და მივიღოთ ისინი, რომ გადარჩენა შეძლონ. ომში დაღვრილი სისხლი ცას შეჰვლადებას. ღმერთი ღაღადს შეისმენს – მე ამის მჯერა. ღმერთი მშვიდობის ღაღადსაც შეისმენს: უკრაინის ქალაქებში და სოფლებში, რუსეთის ქალაქებში და სოფლებში, უწყებებში და კრემლის დარბაზებში. ჩვენი ყველასი ესმის იმ ერთ ზეცას, რომელიც ჩვენს თავზეა გადაჭიმული.

თბილისი, 2022 წლის 9 მარტი
მარკუს შინი, სელეს ეპისკოპოსი

ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის

საუკუნეზე მეტია, რაც ყოველწლიურად 18-დან 25 იანვრამდე სსზვადსხვა დენომინაციის ქრისტიანები ეკლესიათა ერთობისთვის ლოცულობენ. 2000 წელს საქართველოში მოქმედი რომის კათოლიკე, სომეხთა სამოციქულო, ევანგელიურ-ლუთერული და ევანგელიურ-ბაპტისტური ეკლესიების მღვდელმთავრებმა დააფუძნეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორგანიზებას უწყევს ამ ლოცვათა ჩატარებას, და აგერ, უკვე ოცდამეორე წელია, თითოეული კონფესიის საკათედრო ტაძარში მორიგეობით საზეიმოდ აღევლინება ერთობლივი მსახურება, რომლის დროსაც შემოქმედს ევედრებიან ქრისტიანთა ერთობის აღდგენას.



ქრისტიანთა ერთობის ღოცვას 2022 წლის 21 იანვარს სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. გიორგის საკათედრო ტაძარში თბილისში უმასპინძლა. მსახურებაში მონაწილეობდნენ ერთობის ღოცვის ორგანიზატორი ოთხივე ეკლესიის მღვდელმთავრები, სასულიერო დასი, სომეხთა სამოციქულო საეკლესიო მგალობელთა გუნდი და, კოვიდ-რეგულაციებიდან გამომდინარე, მრევლის მკაცრად რეგლამენტირებული, შეზღუდული რაოდენობა. კათოლიკე ეკლესიის მედიასამსახურის ძალისხმევით მსახურება პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მსურველებს მთელი საქართველოდან საშუალება მიეცათ, ონლაინ ჩართვით მიეღოთ მონაწილეობა ეკუმენურ ღოცვაში. მთელი მსახურება აღსავსე იყო საზეიმო განწყობით, რწმენით, იმედით და ერთიანობის, მშვიდობის, შემწყნარებლობის ეკუმენური სულისკვეთებით, ასევე განცდით, რომ პანდემია დამარცხებული იქნება და მომავალ წელს ღოცვა ხალხმრავალ ტაძარში აღესრულება.

ნუგზარ ბარდაველიძე
ჟურნალ „საბა“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი

უმხვედრა სკოლაში

25 იანვარს ბაქოში ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვის ეკლესიაში, გაიმართა აზერბაიჯანში მოქმედი ქრისტიანული ეკლესიების ღოცვის უმხვედრა ქრისტიანული ერთობის თემაზე. უმხვედრას ესწრებოდნენ მღვდლები ევანგელიური, მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიებიდან. მე პასტორ გოტჰარდ ლემკესთან ერთად ვმონაწილეობდი მასში. შესასვლელში თითოეულ მონაწილეს პატარა ვარსკვლავები დაგვირიგეს, რომლებიც ქსოვილზე მაგრდებოდა, როგორც სიმბოლურ ცაზე.

ღონისძიების თემა იყო: „ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“ (მათე 2, 2). ბიბლიის და ლიტურგიული ტექსტების შერჩევა სამი წმიდა მეფის ტრადიციას ეფუძნებოდა, რომლებიც მათეს სახარების თანახმად ახალშობილი ხელმწიფის სახაზავად მოვიდნენ. ვილოცეთ ეკლესიის ერთიანობისთვის და შევევედრეთ, რომ ჩვენც და ჩვენი ეკლესიაც სინათლის სხივი ვიყოთ, რომელიც ქრისტიმდგ, მაცხოვრამდე მიგვიყვანს.

ლოცვის მეორე ნაწილში კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსმა მამა ვლადიმირმა მთხოვა, ეფესელთა მიმართ წერილიდან (5, 8-14) წამეკითხა, სადაც წერია, რომ არ არის აუცილებელი, ყველა მონაწილე და თანამოაზრე მამაკაცი იყოს. ლოცვის ბოლოს მონაწილეებმა, რომლებსაც შემოსვლისას ვარსკვლავები დაურიგდათ, ისინი მუქი ლურჯი ფერის ქსოვილზე დაამაგრეს – ღამის ცის სიმბოლოზე.

ლოცვის შემდეგ შეხვედრის მონაწილეები ჩაიხე და სამრევლოების სამომავლო თანამშრომლობაზე სასაუბროდ მიგვიწვიეს. ჩაის სმის დრო ვესაუბრეთ დებს კათოლიკური ეკლესიიდან, დავპატიუეთ ისინი მსოფლიო ლოცვის დღეზე. სამრევლოების პასტორები შევთანხმდით, რომ თვეში ერთხელ სხვადასხვა სამრევლოში შევიკრიბებით სალოცავად.

პასტორი მენზერ ისმაილოვა,
მაცნოვრის ეკლესია, ბაქო

სულის მთელი კალა ლოცვაა

*ილოცეთ ახლობლისთვის, ილოცეთ შორეულებისთვის,
ილოცეთ მხიარულებისთვის და დამწუხრებულებისთვის,
ილოცეთ დებისთვის და ძმებისთვის.
დაე, ჩახუტების ლოცვები უფრო ძლიერი ვახდეს.
ილოცეთ იმედისთვის, ილოცეთ სიყვარულისთვის
მაცნოვრის ძალის რწმენით!
ილოცეთ სულიერად, ხალხი სით;
დაე, ლოცვით გამუდმებით
მრავლდებოდეს თქვენი ძალები.*

პარასკევს, 2022 წლის 4 მარტს თბილისის ევანგელიურ-ლუთერულ შერიგების ეკლესიაში ყოველწლიური მსოფლიო ლოცვის დღე (მღდ) გაიმართა. ლიტურგია ინგლისელმა, უელსელმა და ჩრდილოირლანდიელმა ქალებმა მოამზადეს და მისი დევიზი იყო „მომავლის გეგმა: იმედი“. როგორც წესი, მღდ-ს ღვთისმსახურებები თითოეულ სამრევლოში ცალკე ტარდება. ჩვენთან კი ტრადიციად იქცა, რომ ქალები საქართველოს სხვადასხვა ლუთერული სამრევლოებიდან თბილისში ჩამოდიან - წელს რუსთავის და ბოლნისის სამრევლოებიდან.

მართალია, ამ დღისთვის სამზადისში ყველანი ვიყავით ჩართულები, თუმცა საქმის უმეტესი ნაწილი, გასული მღდლების მსგავსად, გალინა კუნეცოვამ (თბილისი) აიღო საკუთარ თავზე. მან უამრავი მასალა შეაგროვა, გერმანულიდან თარგმნა ღვთისმსახურების სიმღერების ტექსტები, მოამზადა შესაბამისი ილუსტრაციები. გარდა ამისა, ინტერნეტში შექმნა ჯგუფი „მსოფლიო ღოცვის დღე ამიერკავკასიაში“, რომელსაც 48 წევრი ჰყავს საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. გალინა მღდ-მღე აქვეყნებდა საინტერესო სტატიებს დიდ ბრიტანეთზე და საკუთარ ენთუზიაზმს სხვებსაც გადასცემდა.

და ბოლოს დადგა ნანატრი მსოფლიო ღოცვის დღე. უამინდობის მიუხედავად თბილისის შერიგების ეკლესიის თბილ დარბაზში უამრავი ადამიანი შეიკრიბა. დარბაზი ჩუმმა მუსიკამ აავსო, სანთლები ენთო და საკურთხეველის წინ ადგილი დიდი ბრიტანეთით იყო მორთული, შუაში ჩაიდანი იდგა. რატომ? ალბათ იკითხავთ. ამას მოგვიანებით შეიტყობთ.

მისალმება, ღოცვები, ბიბლიის ტექსტები, ინგლისელი ქალების მონათხრობი საკუთარ თავზე, შუალედებში მუსიკა და სიმღერები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მედიტაციური ცეკვა, რომლის დროსაც ერთმანეთს ხელები ჩაჭვიდეთ და მუსიკის რიტმს აყვევით, თითქოს ღვთაებრივი სული გემართავდა. პასტორმა ირინა სოლეიმ ბაბილონის ტყვეობაში მყოფი იერემია წინასწარმეტყველის შესანიშნავ ტექსტზე იქადაგა. “ააშენეთ სახლები და დასახლდით, გააშენეთ ბაღები და ჭამეთ მათი ნაყოფები; ითხოვეთ ცოლები და გააჩინეთ ვაჟები და ასულები. . . იზრუნეთ იმ ქალაქის კეთილდღეობისთვის, სადაც გადაგასახლეთ, უფალს შევედრეთ იგი, რადგან მისი კეთილდღეობით თქვენც კეთილდღეობაში იქნებით.” (იერემია 29:5-7). აქ იერემია ისრაელელ ერს ღმერთის სახელით მოუწოდებს. ასე აძლევს უფალი თავის ხალხს მომავალს და იმედს. ღვთისმსახურების ბოლოს ყველამ ერთად ვილოცეთ უკრაინაში მშვიდობისთვის, ჩვენი დებისა და ძმებისთვის და ადამიანებისთვის, რომლებსაც ჩვენი თანადგომა და ჩვენი თანაგრძნობა განსაკუთრებით სჭირდებათ. ძველი ინგლისური მელოდიის თანხლებით მომავლის იმედები ჩამოვწერეთ ქალაქის ნავეებზე და ფერად თევეებზე, რომლებიც ამქვეყნიურ გზაზე ჩვენი ხეტიალის სიმბოლოებად იქცა.



ღვთისმსახურების ბოლოს ზემოთ ნახსენებ ჩაიდანში შემოწირულობები შევაგროვეთ. ეს შესანიშნავი იდეა გალინა კუზნეცოვას ეკუთვნოდა, რადგან ჩაის სმას ინგლისელების ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ჩვენც გავაგრძელეთ ეს ინგლისური ტრადიცია და შეხვედრა მდიდრულ მაგიდასთან ჩაის სმით დავასრულეთ.



ამ მსოფლიო ლოცვის დღეს კიდევ ერთხელ ვახდა ნათელი, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს დღე. მასში ყოველწლიურად 150-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს. და თუ „ლოცვა სულის მთელი ძალა“, წარმოიდგინეთ, 100000-ობით ადამიანის ერთად ლოცვას რამხელა ძალა ექნება. ჩვენ ყველასთვის ვილოცეთ, ვისაც დახმარება და სულიერი თანადგომა სჭირდება და შევაძინეთ, რომ თავად ავივსეთ იმედით, ღმერთისადმი სიყვარულით და რწმენაში გავძლიერდით.


ანა აბშილავა

მსოფლიო ლოცვის დღე ბაქოში

უარშან მსოფლიო ლოცვის დღის (მლდ) ჩატარება, სამწუხაროდ, ვერ შეეძლებოდა. ამიტომ ძალიან გაგვიხარდა, რომ წელს ის სირთულეების და პრობლემების მიუხედავად მაინც აღვნიშნეთ. რა სირთულეებზეა საუბარი? პირველ რიგში, იყო ფართის პრობლემა. ჩვენს ოფისს რემონტი უკეთდებოდა (ჩავარდა იატაკი). ანუ არ ვიცოდით, სად შევეკრებილიყავით. მეორე პრობლემა – ისევე, როგორც ყველგან – წარმოადგენდა პანდემია, რომელმაც მთელი გეგმები შეგვიცვალა: გვყავდა კოვიდპაციენტები, მრევლის ბევრი წვერი ხანდაზმულ ასაკშია. აცრის შიშით ბევრი მათგანი დღემდე აუცრელია. ამიტომ მსოფლიო ლოცვის დღეს ვერ დაესწრნენ და კიდევ უფრო მცირერიცხოვანი ვიყავით. ამას ემატებოდა ისიც, რომ მუსიკალური აკომპანიმენტი არ გვქონდა. მლდ-სთვის სამზადისი ძალიან დამძლეული იყო და მის ჩასატარებლად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა.



მაგრამ როგორც ამბობენ, თუ ღმერთის ნებაა, ყველაფერი გამოდის. ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა. ფართის პრობლემა წარმატებით მოგვარდა: ახალმა სამოციქულო ეკლესიამ თავისთან დაგვპატიუა, რისთვისაც მათი ძალიან მაღლიერი ვართ. პანდემიის მიუხედავად, მეტი ადამიანი მოვიდა, ვიდრე ველოდით. ღოცვაში ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ ქალები ახალი სამოციქულო, ბაპტისტური და კათოლიკური ეკლესიებიდან. მასალები დაგარიგეთ და საქმეს შევუდექით. ჩვენმა სვეტლანა კუზმინამ პლაკატები მოამზადა და მოიფიქრა, როგორ გაეფორმებინა საკუთხეველი. მე წავიკითხე მცირე ლექცია ინგლისზე, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაზე და დამხმარე მასალის მეშვეობით ლიტურგიის ტექსტი მოვამზადე.



რადგან შემოთავაზებული სიმღერები ჩვენთვის მეტისმეტად რთული იყო, გადავწყვიტეთ, მათ ნაცვლად ჩვენი საყვარელი სიმღერები შეგვესრულებინა.

ასეთი შესანიშნავი ღონისძიება მოვაწყვეთ მსოფლიო ღოცვის დღეს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ღოცვის მერე ჩაი და ტკბილეულობა მივირთვიეთ – საერთო მაგიდას ყველამ რაღაც შემატა. ერთობლივი ღოცვა სხვა სამრევლოების ქალებთან ერთად, რომელსაც მღდ ითვალისწინებს, ყველას გვაძლიერებს, გვაერთიანებს და დაცულობის შეგრძნებას გვაძლევს, შიშებს და დარდებს

გვიფანტავს. გამამხნეველებლია სულიწმიდის ძალის განცდა და რწმენაში გაძლიერების შეგრძნება.

სტალინა ალიევა, ბაქო

საჩუქრები ბავშვებისთვის

2022 წლის 12 იანვარს პასტორი მენზერ ისმაილოვა და მე ბაქოს ერთ-ერთ ბავშვთა სახლს ვესტუმრეთ. ეს გახლავთ აზერბაიჯანის ბავშვთა კავშირის სახლი, აზერბაიჯანის მცირერიცხოვან არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ერთ-ერთი. აქ ზრუნავენ ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე. კერძო სახლში განთავსებულ ბავშვთა სახლში უბრალო პირობებია, თუმცა იგრძნობა კეთილგანწყობა და შესამჩნევია, რომ ბავშვებისთვის აქ კარგი კერაა შექმნილი. პერსონალის უმეტესობა ახალგაზრდები და მოხალისეები არიან, რომლებიც ბავშვებზე ზრუნავენ.



იმ ოთახს, სადაც ჩვენ ვიყავით, ღამაზად მოხატული კედლები ჰქონდა მწვანე ხეებითა და ყვავილებით, მხიარული ცხოველებითა და ჩიტებით. ოთახის შუაში დიდი ხალიჩა ეგო, რომელზეც ბავშვები ისხდნენ.

მივიტანეთ საჩუქრები: მაისურები და ჩვენი სამრევლოსთვის ამერიკიდან გამოგზავნილი “სამარიტელთა ქისები”. შობასავით შეგრძნებამ დაისადგურა, როცა ბავშვებმა საჩუქრების გახსნა დაიწყეს. დიდი ფერადოვნება სუფევდა. ერთ პატარა გოგონას ვარდისფერი ქვედაკაბა ამოუვიდა და მაშინვე ცეკვა დაიწყო. ის უცებ მეჯლისის დედოფლად გადაიქცა.

ერთი ბიჭუნა მომიახლოვდა და ხელები გაშალა. მეც მოვეხვიე და კალთაში ჩავისვი. არაჩვეულებრივი შეგრძნება იყო. პასტორმა მენხერმა მიაშობო, რომ ამ პატარ ბიჭუნას ბევრი ტკივილი ჰქონდა გადატანილი. თმაზე მწვანე საღებავის კვალი იმ ჭრილობაზე მიუთითებდა, რომელიც მშობლების სახლში მიიღო.

მეორე მისვლაზე ბავშვებისთვის პამპერსები, კბილის პასტები და იოგურტები მივიტანეთ. ძალიან ემოციური იყო ბავშვებთან და მათ მომვლელებთან შეხვედრა. მსგავსი ვიზიტები მომავალშიც უნდა განვახორციელოთ. ამჟამად ვაგროვებთ ფულს მცირედი საჩუქრების შესაძენად.

პასტორი გოტჰარდ ლემკე
ბაქოს მაცხოვრის ეკლესია

ვიზიტი პრეპანში

2022 წლის 23 და 24 მარტს ეპისკოპოსი მარკუს შოხი და მისი საქმის გამგრძელებელი პასტორი როლფ ბარაისი ერევნის სამრევლოს ესტუმრნენ. ეს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის მერე პირველი ვიზიტი იყო თბილისიდან. ერევანში ყოფნის დროს სტუმრები შეხვდნენ გერმანიის ახალ ელჩს ვიქტორ რიხტერს და ერევნის გოეთეს ცენტრის თანამშრომლებს. პროგრამა მოიცავდა აგრეთვე საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის ყოფილ წინამძღვართან ეპისკოპოს ვაზგენტან შეხვედრას, რომელიც ამჟამად ეჩმიაძინში ეთიკის განყოფილებას ხელმძღვანელობს და რომელმაც მისი უწმიდესობის კათოლიკოს გარეგინ II-ის მოკითხვა გადასცა სტუმრებს.



მოგზაურობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა სომხეთში ჩვენი ევანგელიურ-ლუთერული დიაკონური საზოგადოების მიგრაციის საკონსულტაციო განყოფილების „გერმანიაში მომზადებულად და წარმატებულად წასვლა“ საქმიანობის გაცნობა და ადგილზე ჩვენს ორ თანამშრომელთან, ანიკა აკოფიანთან და იშხან ღაზარიანთან შეხვედრა.

24 მარტს, ნაშუადღევს სტუმრები სომხეთის ეროვნული უმცირესობების ცენტრში შეხვდნენ გერმანული კულტურის კავშირის „ტექტონიის“ პრეზიდენტს ვიქტორ ვუხერერს და მის მოადგილეს, ამავდროულად ენისა და ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელს ნატალია ალგულიანს. საუბრის თემა გახლდათ ერთობლივი აქტივობები. გარდა ამისა, თბილ და კეთილმეგობრულ გარემოში გაიმართა შეხვედრა სომხეთის ეროვნული და რელიგიური უმცირესობების განყოფილების ხელმძღვანელებთან ბატონ ვარდან ასატრიანთან, ქალბატონ ნარინე ღულიანთან და ბატონ ავაკ ჰაკობიანთან.

რედაქცია

ლუთერული ეკლესია კავკასიაში

2022 წლის 29 მარტიდან 2 აპრილამდე დელეგაცია თეოლოგიის ცენტრიდან “აღმოსავლეთი” (ZETO) და ევროპის ევანგელიური ეკლესიების გაერთიანებიდან (GEKE) პასტორ დოქ. შტეფან კოსორობას ხელმძღვანელობით, ვსტუმრობდით კავკასიის ევანგელიურ-ლუთერულ ეკლესიას. თან გვახლდნენ აღმოსავლეთ ევროპის კორესპონდენტი პასტორი უვე ზაიდნერი ვოლკენდორფიდან და დოკუმენტაციის მმართველი ბოგდან მუნტეანი.

ჩვენი მიზანი იყო, მოქმედი ეპისკოპოსისგან მარკუს შოხისგან შეგვეტყო უმცირესობის ეკლესიის მდგომარეობის შესახებ, რომელიც მეტწილად მართლმადიდებელ გარემოცვაში იმყოფება. რუმინეთის მსგავსად, საქართველოს მოსახლეობის 2/3-ზე მეტი ქართულ-მართლმადიდებელ ეკლესიას მიეკუთვნება, რომელსაც თავისი საპატრიარქო გააჩნია და რომელსაც დიდი გავლენა აქვს მორწმუნეების ტრადიციულ, ყოველდღიურ ცხოვრებაზე და რომელთანაც სახელმწიფომ კონკორდატი გააფორმა.

ამასთანავე გავხდით თანამდებობის გადაბარების მომსწრეები. ეპისკოპოსი მარკუს შოხი 5-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ 2022 წლის 1 მაისს ადგილს უთმობს საეპისკოპოსო ვიზიტატორს როლფ ბარაისს. ესტაფეტის გადაბარებამდე ეპისკოპოსმა მარკუს შოხმა ეკლესიაში საკუთარი საქმიანობა წარმოგვიდგინა. ამასთანავე მან ორგანიზება გაუწია შეხვედრებს საეკლესიო და პოლიტიკურ დონეზე, მათ შორის: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, რელიგიის საკითხების სახელმწიფო კომიტეტში, ბაპტისტურ ეკლესიაში ეპისკოპოსებთან და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან ილია მეორესთან.

ევანგელიური ეკლესიის შესახებ ორ ეპისკოპოსთან საუბრისას გავეცანით პატარა ეკლესიის გამოწვევებს. შემოგვიერთდნენ პასტორი ვიქტორ მიროშნიჩენკო და პასტორი ირინა სოლეიც-კლასიკურ სამრევლო ცხოვრებასთან ერთად, რომელიც ღვთისმსახურებებს, კატეხიზმოს და ახალგაზრდებთან და ხანდაზმულებთან მუშაობას ითვალისწინებს. ეკლესიის მნიშვნელოვან ნაწილს დიაკონური საქმიანობაც წარმოადგენს. აქ აქტიურად ფუნქციონირებს შინ მოვლის სამსახური, მათ შორის დედაქალაქის ფარგლებს გარეთ, დუშეთში. გარდა ამისა, ეკლესიას აქვს 12-ადგილიანი მოხუცებულთა

თავშესაფარი. დიაკონური საქმიანობისთვის ეპისკოპოსს და ეკლესიას გამუდმებით უწევთ დაფინანსების ძიება, რადგან ეკლესიას საკუთარი ფინანსები არ ჰყოფნის. რუსთავში მრევლმა ძალიან თბილად მიგვიღო. სამრევლო სახლში მწვალით და ქართული ღვინით გაგვიმასპინძლდნენ. აქ ახლო კონტაქტი დავამყარეთ მრევლის წევრებთან. მათი ოჯახების ძალიან განსხვავებული ისტორიები მოვისმინეთ, მხოლოდ ცოტა მათგანს აქვს გერმანული ფესვები. მრავალი მათგანი მრევლში შვილების მეშვეობით მოხვდა, რომლებიც ეკლესიის საკვირაო სკოლაში დადიოდნენ.

ვესტუმრეთ საქართველოს სახალხო დამცველის ოფისსაც. აქ შევიტყვეთ, რომ არსებობს რელიგიების საბჭო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ საბჭოს საქმიანობაში არ მონაწილეობს, სამაგიეროდ ევანგელიური ეკლესია, როგორც ისტორიული ეკლესია, ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად მოიაზრება.

შემდეგი შეხვედრა რელიგიის საკითხების სახელმწიფო სააგენტოში გაიმართა. მართალია, აქ თავაზიანად მიგვიღეს, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ევანგელიური ეკლესიისთვის საჭირობოროტო მრავალი საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. საქართველოში საეკლესიო ნაგებობები სახელმწიფო საკუთრებად ითვლება. თვით თბილისის შერიგების ეკლესიის შენობაც კი, რომელიც ეკლესიამ საკუთარი სახსრებით ააშენა, სახელმწიფოს საკუთრებაშია. ისტორიული შენობა-ნაგებობების გადაცემის საკითხი ახლო მომავალში არ იგეგმება. ამის ნათელი მაგალითია ასურეთის (ყოფილი ელიზაბეტტალი) ევანგელიური ეკლესია, რომელიც სახელმწიფომ გაარემონტა, თუმცა მრევლს მისი გამოყენების უფლება არ აქვს. აქ იკვეთება მართლმადიდებელი სასულიერო პირების წინააღმდეგობაც. ეკუმენიის მიმართულებით გაიმართა შეხვედრები ბაპტისტური ეკლესიის ლიბერალურ ფრთასთან. სასულიერო პირების ნაწილმა დატოვა კონსერვატორული გზა და საკუთარ თავს ხიდის მშენებლებად მოიაზრებს. ისინი ცდილობენ, დიალოგი აწარმოონ სხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებთან, მათ შორის, მუსულმანებთან, იუდეველებთან და იეზიდებთან.

ჩვენი მოგზაურობის ბოლო ნაწილს საქართველოს საპატრიარქოში სტუმრობა წარმოადგენდა. ეს ეპისკოპოს მარკუს შოხის ბოლო შეხვედრა იყო საპატრიარქოში და მადლიერებით უნდა ითქვას, რომ მან ჩვენი დელეგაციაც ჩართო. ასაკოვანმა და დასნეულებულმა პატრიარქმა ილია



მეორემ თავის მოადგილეებთან ერთად მიგვიღო. რადგან პატრიარქის მდგომარეობა კომუნიკაციას აძნელებდა, მისი მოადგილეები ცდილობდნენ ჩვენთვის პატრიარქის გზავნილის გადმოცემას. ამ ვიზიტმა და მიღებამ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ნათლად გამოჩნდა ეპისკოპოს შოხისადმი – უმცირესობის ეკლესიის მეთაურისადმი – კარგი დამოკიდებულება. ალბათ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის გარემოებაც, რომ თბილისის ევანგელიურ ეკლესიას გერმანულ „უცხოურ ეკლესიად“ აღიქვამენ. და რომ ეკლესიას მხოლოდ რამდენიმე სამრევლო აქვს, უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი. მთავარია, რომ მას ეპისკოპოსი წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საქართველოს ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია პატარა ეკლესიაა, მას მაინც დიდი გავლენა აქვს: პოლიტიკოსების და სხვა აღმსარებლობების მიერ, ის ისტორიულ ეკლესიად და მოლაპარაკებების მნიშვნელოვან პარტნიორად აღიქმება. რუსეთის იმპერიის დროს აქ დასახლებული გერმანელი კოლონისტების ხსოვნა ქართულ საზოგადოებაში დღემდე აქტუალურია.

საეპისკოპოსო ვიზიტატორი როლფ ბარაისი გამოწვევებით სავსე მოღვაწეობას შეუდგა. მისი მისიაა კავკასიის ევანგელიური ეკლესიის მომავლის ფორმირება. ამ საქმეში მას ღვთის კურთხევას და საჭირო ენერგიას ვუსურვებთ!

პასტორი უგე ზაიდენკი, ვოლკენდორფი, რუმინეთი

ცრემლნარევი სიხარული

სეთი აღდგომა ჯერ არასოდეს გექონია! 17 აპრილს ობილისის, რუსთავეის, ბოლნისის და გარდაბნის სამრევლოები შერიგების ეკლესიაში შეიკრიბნენ და ერთად აღვნიშნეთ აღდგომის სასიხარულო დღესასწაული. ეპისკოპოსმა მარკუს შოხმა, პასტორებმა – ვიქტორ, ირინა და ალბინა ჩაატარეს სააღდგომო ღვთისმსახურება განსაკუთრებული აღმაფრენით და სიხარულით, რომელსაც სევდაც ერია, რადგან ეს ეპისკოპოს მარკუს შოხის გამოსამშვიდობებელი ღვთისმსახურება იყო. მან დაასრულა მსახურება ჩვენს ეკლესიაში და ვიურტემბერგის ეკლესიაში როიტლინგენის რეგიონალურ ეპისკოპოსად გააგრძელებს მოღვაწეობას.

ღვთისმსახურების შემდეგ ეკლესიის ეზოში მცირედი გამასპინძლება და შემდგომ მიღება იყო სტუმრებისთვის და მრევლის წევრებისთვის. რელიგიური საკითხების სახელმწიფო სააგენტოს ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელმა ნინო ჭავჭავაძემ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თეოლოგიური აკადემიის და სემინარიის რექტორმა პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, ეპისკოპოსმა მალხაზ სონღულაშვილმა ეკუმენური საეპისკოპოსო საბჭოს სახელით, პასტორმა შმაგი ჭანკვეტაძემ საქართველოს



ევანგელიური ალიანსიდან, რომის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ და საქართველოში გერმანიის ელჩმა ჰუბერტ კნირშმა მადლობა გადაუხადეს ეპისკოპოს მარკუს შოხს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და მომავალი სასულიერო კარიერისთვის წარმატება და ღვთის კურთხევა უსურვეს მას. სელეს და დიაკონური საზოგადოების წარმომადგენლებმა: პასტორმა ირინა სოლეიმ, ლექტორმა თემურ ბარდაველიძემ, სამრევლოს საბჭოე-



ბის თავმჯდომარეებმა თბილისიდან, რუსთავიდან და ბოლნისიდან ელენა მანუკოვამ, გაიანა მელქონიანმა და ნაზი ლონდარიძემ, სელეს სოციალური სამსახურის ხელმძღვანელმა მაია გოცაძემ და შინ მოვლის სამსახურის ხელმძღვანელმა მადონა ურკევიჩმა თბილი და ემოციური სიტყვები წარმოთქვეს. ყველამ ხაზი გაუსვა ეპისკოპოს მარკუს შოხის განსაკუთრებულ წვლილს კორონავირუსის პანდემიის დროს სასულიერო და სოციალური მუშაობის წარმართვის საქმეში, ისაუბრეს

მის ღიდსულოვნებაზე და თანამშრომლებთან არაჩვეულებრივ და თბილ დამოკიდებულებაზე.

ჩვენ უსაზღვროდ მადლიერები ვართ თქვენი, ეპისკოპოსო მარკუს! გული გვწყდება, რომ გემშვიდობებით, თუმცა ამავდროულად გვიხარია, რომ ღმერთმა ასეთი პასუხისმგებლობით აღსავსე და მნიშვნელოვანი მსახურება დაგაკისრათ. კურთხეული ყოფილიყავით! ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

პასტორი ირინა სოლეი

ინტერვიუ საქვისკოპოსო ვიზიტატორთან როლფ ბარაისთან

2022 წლის 1 მაისს საქვისკოპოსო ვიზიტატორმა როლფ ბარაისმა ჩაატარა პირველი ღვთისმსახურება თბილისის შერიგების ეკლესიაში, რომელსაც სელე-ს ყველა მრევლი დაესწრო. მის შესახებ ჩვენ აქამდეც გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია ჩვენს ვებ-გვერდზე და “საეკლესიო მაცნეში”, თუმცა გვინდა მეტი ვიამბოთ როლფ ბარაისზე, როგორც პასტორზე და მუსიკოსზე.

- როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება, ჩვენს ეკლესიაში საქვისკოპოსო მსახურების შესახებ?

- რამდენიმე წლის წინ მარკუს მოსს ვიურტემბერგის ეკლესიაში მიღებაზე შევხვდი და გამოველაპარაკე. მას დიდი ხანია ვიცნობ. მარკუსმა 2001 წელს სამარაში ევანგელიურ-ლუთერულ საეკლესიო სამრევლოში ჩემი ადგილი დაიკავა. საუბრისას მოვუყევი, რომ ჩემი მსახურება გერმანიაში სამრევლოსა და ევანგელიურ ჩასაბერი საკრავების ორგანიზაციაში 2024 წელს სრულდება. მაშინ სპონტანურად მითხრა, აბა, საქართველოში ჩამოსვლას შეძლებო. ეს ერთი შესედევით ხუმრობით წარმოთქმული სიტყვები მარკუსს მაშინვე გაახსენდა, როდესაც საქართველოს ევანგელიურ-ლუთერულ ეკლესიაში მისი მსახურების ვადა იწურებოდა, დამიკავშირდა და მკითხა, თუ როგორ შესახებოდა, რომ მისი საქმე გამეგრძელებინა. დაუფიქრდი, ავწონ-დავწონე და ოჯახის წევრებს დაველაპარაკე, რომლებიც დამთანხმდნენ, საქართველოში გადმოვსულიყავი. სხვადასხვა მიზეზების გამო ჩემი ოჯახი ჩემთან ერთად ჩამოსვლას ვერ შეძლებს. სელეს სინოდისათვის მზაობის გამოხატვის, სინოდის პრეზიდიუმის მიერ ჩემი კანდიდატურის წარდგენისა და ვიურტემბერგის ეკლესიის მხრიდან ჩემი კანდიდატურის მოწონების შემდეგ, ჩამოვედი და სინარულით შევუდექი სელეში მსახურებას.

- შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუსიკოსობა სულიერო მდგომარეობაა. როგორ მოხვდით მუსიკის სამყაროში? ეს თქვენი გაცნობიერებული გადაწყვეტილება იყო თუ შემთხვევითობა?

- მუსიკა ჩემი მშობლების სახლში ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ჩემს ოთხ და-ძმას და

მე მამა შვიდი წლის ასაკიდან ბლოკ-ფლეიტაზე დაკვრას გვასწავლიდა. მე, გარდა ამისა, ალტზე და ბას-ფლეიტაზე დაკვრასაც ვსწავლობდი. საოჯახო დღესასწაულებზე ან საბავშვო ღვთისმსახურებებზე, რომელსაც მამაჩემი უძღვებოდა, ხშირად ერთად ვასრულებდით მუსიკას.

- რატომ სწორედ ჩასაბერი ინსტრუმენტები? სხვა რომელ მუსიკალურ საკრავს ფლობთ?

- ჩემს მშობლიურ მხარეში, ბევრი სხვა სამრევლოს მსგავსად, ჩასაბერი საკრავების ანსამბლი ანუ Posaunenchor (სიტყვასიტყვით “ტრომბონების გუნდი”) არსებობს. “ტრომბონი” მთლად სწორი არ იქნება, რადგან ასეთ ანსამბლში წარმოდგენილია ჩასაბერი ინსტრუმენტების ოჯახი საყვირიდან რქებამდე, ტრომბონიდან ტუბამდე. ჩემ მშობლიურ სამრევლოში ჩასაბერი საკრავების ანსამბლი შეიქმნა დამწყებთათვის. 10 წლის ასაკში მეც გავწევრიანდი. იქ საყვირზე დაკვრის სწავლა უფრო შემთხვევითობა იყო. უსასყიდლოდ გადმოგვცეს თავისუფალი ინსტრუმენტები. ანსამბლის ხელმძღვანელი, პროფესიით მცხობელი, რომელიც ანსამბლს მოხალისეობრივად უძღვებოდა, თავის საცხოვრებელ გვამეცადინებდა კვირაობით შუა დღის მერე. 17 წლისამ მეცადინეობა დავიწყე მუსიკალურ სკოლაში, შემდეგ კი პროფესიონალ მესაყვირებთან. საყვირის გარდა ვუკრავ გუდასტვირზე და სიამოვნებით ვმღერი.



- რომელი მუსიკის მოსმენა გიყვართ და რომლის არ გიყვართ?

- მიყვარს კლასიკური მუსიკა და ჯაზი, თუმცა დიდხანს ვუკრავდი როკ-ბენდშიც. დიდად არ მიტაცებს “თანამედროვე” ანუ “ატონალური” მუსიკა.

- თქვენ სელმძღვანელობთ გერმანიაში ევანგელიურ ჩასაბერი საკრავების ორგანიზაციას. ჩვენს ეკლესიაში ბევრი ბავშვი და ახალგაზრდაა. აზრებთ ჩასაბერი ინსტრუმენტების პატარა ანსამბლის დაფუძნებას?

- დიახ, ამის სურვილი ნამდვილად მაქვს, საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში ჩასაბერი საკრავების ანსამბლები შეექმნა. ეს ხომ ევანგელიური მუსიკის სიმბოლო და გერმანიის UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაა. 2024-ში ჰამბურგში გერმანიის ჩასაბერი საკრავების ანსამბლების მესამე შეკრება გაიმართება, რომელშიც დაახლოებით 20000 მუსიკოსი მიიღებს მონაწილეობას ჩასაბერი საკრავების ანსამბლებიდან. ჩემი ოცნებაა, რომ ამ ღონისძიებაში სელეს ჩასაბერი საკრავების ანსამბლიც ჩაერთოს.

- თქვენ პასტორობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ. თქვენთვის პასტორის მსახურებაში რა არის უმთავრესი?

- ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, ვემსახურო ღმერთს და ადამიანებს. ვიყო მათ გვერდში ღმერთთან ან ღმერთისკენ მიმავალ გზაზე და ცოცხალ მაგალითს წარმოვადგენდე უფლის იესო ქრისტეს სასიხარულო გზავნილისა.

- სელოვნება სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლას ემსახურება. ის ადამიანების შინაგან სამყაროს აყალიბებს, ადამიანებს შინაგან თავისუფლებას აძლევს რისი გაკეთება შეუძლია მუსიკას საზოგადოებისთვის და ცალკეული ადამიანისთვის?

- მუსიკის ენა უნივერსალურია, მას მუსიკოსებსა და მსმენელს შორის ხიდის გადება შეუძლია. მუსიკა ადამიანების გულებადმდე აღწევს, ადამიანებს უდიდესი სიხარულით ავსებს და მათ შორის ურთიერთობების დამყარებას უწყობს ხელს. მუსიკა გამოცხადების საუკეთესო ფორმაა. გუნდის სიმღერა, დაკვრა ან ორღანის უღერადობა მუსიკალური ქადაგებასავითაა.

- მუსიკოსები ხალისიანი ხალხია, პასტორები კი ძირითადად სერიოზულები. მოგვიყვით თქვენს ყველაზე უჩვეულო კონცერტსა და ყველაზე უჩვეულო ღვთისმსახურებაზე.

- ყველაზე უჩვეულო ღვთისმსახურება იყო 2016 წელს დრეზდენში გერმანიის ჩასაბერი საკრავების ანსამბლების მესამე შეკრების დამამთავრებელი ღვთისმსახურება. ამ დღეს სტადიონზე 35000 ადამიანი შეიკრიბა, მათ შორის 17500 მუსიკოსი ჩასაბერი საკრავების ანსამბლებიდან. ეს იყო დაუვიწყარი განცდა: ამდენ ადამიანთან ერთად მუსიკის შესრულება და ღმერთის დიდება ინსტრუმენტებითა და მუსიკით.

ჩემთვის ყველაზე დაუვიწყარი კონცერტი კი იყო რუსეთში, სადაც გერმანულ და ესპანურ გუნდებთან და სამარის ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად მენდელსონ-ბარტოლდის “ელიას ორატორიუმი” შევასრულეთ.

- პასტორი, მუსიკოსის მსგავსად, მუდამ მოძრაობისკენ და განვითარებისკენ მიისწრაფვის. როგორ გეხსენებათ სულეს მომავალი? რომელი სფეროების განვითარებას აპირებთ?

- უკვე გიამბოთ ჩემი ოცნების შესახებ, რომელიც ჩვენს ეკლესიაში ჩასაბერი საკრავების ანსამბლის დაფუძნებას ეხება. მაგრამ რამდენად შეუძლებოთ მის განხორციელებას, ამას დრო გვიჩვენებს. ჩემი გამოცდილებით, სიახლის მიღწევა მხოლოდ ერთობლივი ძალებითაა შესაძლებელი. ამიტომ მინდა ჯერ შევისწავლო, რა გვაქვს ეკლესიაში. რასაც აქამდე გავეცანი, ჩემში აღფრთოვანება გამოიწვია. მადლობელი ვარ უკვე არსებული ბევრი რამისთვის. მინდა ამ ყველაფრის შენარჩუნება. თანამშრომლებთან და საეკლესიო სამრევლო საბჭოებთან ერთად განვახორციელოთ ახალ იდეებს და გადავწყვიტოთ, რაზე გავაკეთოთ აქცენტები, ან რა დავიწყოთ თავიდან.

მინდა ჩემი მხრიდან დავამატო, რომ სულეს მომავალშიც შეუძლია იყოს და იქნება საზოგადოების “მარილი”. კონკრეტულად რა ფორმით ჰპოვებს ეს გამოხატულებას, ჯერ მიჭირს ამის თქმა. ამასაც მომავალში ერთად განვახორციელოთ.

- რას უსურვებთ სულეს მრევლის წევრებს?

- ვისურვებდი, რომ ეკლესია მომავალშიც გაიზარდოს, რომ ღვთის სული ჩვენს ურთიერთობაში იგრძნობოდეს და რომ ვიყოთ კურთხევა ერთმანეთისთვის და ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანებისთვის.

“საეკლესიო მაცნეს” რედაქცია

თბილისურ ეზოში გაბონილი აგებები

ქელა კი დადგა დრო, თბილისური ეზოს ამბები გავიხსენოთ. ერთი საინტერესო ამბავი მახსენდება, რომელიც ჩემმა ბებიამ სუსანა გეორგიევნამ მუშტაიდის ბალიდან შინ დაბრუნებისას მომიყვა. მუშტაიდის ბაღში შესასვლელთან ორსართულიანი სახლი დღესაც დგას. სწორედ ამ სახლში უცხოვრიათ მაიაკოვსკის მშობლებს და თვით პოეტსაც. მაიაკოვსკის მამა უდროოდ გარდაცვლილა უბედური შემთხვევის გამო. საბუთების წერის დროს მეღნიანი კალამი თითში შერჭობია, ყურადღება არ მიუქცევია და სისხლი მოსწამვლია. მეღანმა დაღუპა მამა და ამავე მეღანმა სახელი გაუთქვა შვილს.

მაიაკოვსკის პოეზია მთლიანად განსხვავებული იყო. რაღაც ახალი, რაღაც წითელი, რაღაც დიდი ენერჯის მატარებელი, რაც აქამდე არავის შეუქმნია. უცხოეთის ლიტერატურული საზოგადოება ძალზე დაინტერესებულია მაიაკოვსკით და პარიზშიც მიუწვევიათ პოეზიის საღამოებში მონაწილეობის მისაღებად. საკმაოდ დიდი პონორარი შეუთავაზებიათ. საბჭოეთსაც ნება დაურთია. ფრანგები მას პარიზში დიდი ინტერესით შეხვდნენ. პოეზიის ერთ-ერთი საღამოს დამთავრების შემდეგ პოეტ მაიაკოვსკისთვის უღამაზესი რუსი ქალბატონი ტატიანა იაკოვლევა წარუდგენიათ. მაიაკოვსკის დანახვისთანავე შეჰყვარებია ეს ქალბატონი და იმ დღიდან გვერდიდან არ მოსცილებია. ხოლო ტატიანას, გამოქცეულს სამშობლოდან თან პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებზე გამოზრდილს (და აქ ციტირება გააკეთა ქალბატონმა სუსანამ: „Я помню чудное мгновенье“ ...), განა მოეწონებოდა საბჭოთა პასპორტის ავტორი („Я достаю из широких штанин, смотрите, завидуйте, я – гражданин Советского Союза“). რასაკვირველია, არა. ჩვენს ტატიანას სასტიკი უარი უტკეცია ჩვენი ახლად გამომცხვარი საბჭოთა პოეტისთვის. მაგრამ კავკასიელი და ისიც თბილისში გაზრდილი პოეტი განა ასე ადვილად დაანებებდა თავს? არც დაუნებებია. წამოსვლისას პოეტს ტატიანასთვის უთქვამს: „Знай, ты когда-нибудь станешь моей“. ქალს გადაუკისკისებია: „Никогда, голубчик мой,.. ასე დაშორებულან. ეს საბჭოთა რუსეთში გამოზრუნებულია, ის კი ემიგრაციაში პარიზში დარჩენილა.

არ გასულა ერთი კვირა, რომ ტატიანას კარებზე დაუკაკუნებიათ, მას თვითონ გაუღია კარები და რას ხედავს: მოახლე ბიჭი უზარმაზარი თაიგულით ხელში. “ვისგან?”

უკითხავს ქალბატონს. პასუხი: “Цветы от Маяковского“. ტატიანას გადაუეისკისებია. არ გასულა ერთი კვირა და ისევ კაკუნი კარებზე, ისევ თაიგული იმავე ტექსტით. ასე გაგრძელებულა შემდეგი კვირები, თვეები და წლები. ყოველ კვირა დღეს უმშვენნიერესი თაიგული მაიაკოვსკისაგან. ერთ დღეს ტატიანა ფინჯან ყავის დასალევად მონმარტრზე მის საყვარელ კაფეში წასულა. ყავის მომლოდინეს იქვე გაზეთ „ფიგაროსათვის“ მოუკრავს თვალი. გაზეთი იტყობინებოდა ახალგაზრდა პოეტის მაიაკოვსკის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ. იმ დღეს ტატიანა შეუძლოდ გამხდარა. მაგრამ მომდევნო კვირას ისევ შეუხსენებია თავი პოეტს: ზუსტად 3 საათზე კაკუნი კარებზე და “Цветы от Маяковского“.

მეორე მსოფლიო ომმა ამ უმშვენნიერეს ქალაქამდეც მიადწია თავისი საშინელებითა და უდიდესი გაჭირვებით. გამქრალა პური, სურსათი და თუ კი რაიმე იშოვებოდა, მხოლოდ გადამყიდველებთან მაღალ ფასებში. გაჭირვებამ, უსახსრობამ, შიმშილმა ტატიანას სახლის კარზეც მიუკაკუნა. საგონებელში ჩავარდნილა. გამოქცეულს საბჭოეთიდან უბედურება აქ დასწევია, მაგრამ ეს გარემოება ტატიანას არც ისე ძლიერად შეხებია. იკითხავთ, „რატომ“? ფირმა “კოტისაგან“ მოტანილ დიდ თაიგულებს ტატიანა პატარ-პატარა თაიგულებად შლიდა და რესტორნების შესასვლელებთან რეიხის გერმანელ ოფიცრებზე ჰყიდდა, რომლებიც ფულს არ იშურებდნენ თავიანთი მანდილოსნების გულის მოსაგებად.

ყველაფერს აქვს დასასრული და ეს საშინელი ომიც დამთავრდა. ომის შემდეგ გაჭირვება საფრანგეთში კიდევ დიდხანს გაგრძელებულა, მაგრამ არა ტატიანასათვის. ის მაიაკოვსკის უზარმაზარი თაიგულებიდან მრავალ პატარა თაიგულს აკეთებდა და მექორწინებზე ჰყიდდა. აბა, ვის გაუგია ქორწილი პატარძლის თაიგულის გარეშე, ისიც პარიზში. როგორც ბოლოში გაირკვა, მაიაკოვსკის საფრანგეთში აღებული მთელი ჰონორარი მოღური ფირმა „კოტისთვის“ დაუტოვებია თაიგულების მისართმევედ. ყოველთვის, როდესაც დილოში მეზავრობისას ოცი ნომერი ავტობუსის ფანჯრიდან სკვერში მდგარ მაიაკოვსკის ძეგლს დავინახავ, მიკვირს, როგორ გადაურჩა დანგრევას საბჭოთა პოეტის ეს ძეგლი.

უფლის კურთხევა და მშვიდობა არ მოგაკლდეს, ჩემო მკითხველო. მომავალ შეხვედრამდე სიყვარულის ქალაქ „ტიფლისში“.

თემურ ბარდაველიძე

იუბილუს ბილოცავით!

**“მიუბავს მეუფე და ეტყვის მათ: ჭეშმარიდან
გეუბნებით თქვენ: რითაც უაეწიეთ ერთს ამ ჩემს
მცირე კმათავანს, იმით მე უაეწიეთ”**

(მათე 25:40)

ღრსებობს რაიმე იმაზე უფრო კარგი, ვიდრე ამქვეყნიურ ცხოვრებაში უპოვარების, დასნეულებულების და გაჭირვებულების მიმართ წყალობის გაღებაა? მე მიმაჩნია, რომ ეს მოყვასის სიყვარულის უმაღლესი გამოვლინებაა სიტყვითა და საქმით.

ჩვენს ეკლესიაში შინ მოვლის სამსახური ფუნქციონირებს. ცოტა ხნის წინ მეც მხვდა წილად პატივი, ამ არაჩვეულებრივი გუნდის ნაწილი გაემხდარიყავი. ჩვენი მუშაობის საძირკველი მოყვასის სიყვარული, უპოვარებზე ზრუნვა და გაჭირვებაში დახმარებაა. ჩვენი გუნდი რვა საოცრად მოტივირებული, სანდო და უანგარო თანამშრომლისგან შედგება, რომლებიც სიკეთის კეთებისთვის ენერჯიას არ იშურებენ. დღესდღეობით ასეთი ადამიანების პოვნა და ერთ გუნდად გაერთიანება ადვილი როდია. და კიდევ უფრო რთულია კარგი პედაგოგობა. ეს უნარი ღვთისგან ბოძებული საჩუქარი და წყალობაა! და ჩვენ გვყავს ასეთი პედაგოგი, რომელიც სხვებისთვის მოტივაციის წყარო და გამაერთიანებელია და სამყაროში სიკეთის გავრცელებაზე ზრუნავს – **მადონა ურკევიჩი**. ის გამორჩეული და გულისხმიერი ადამიანია, რომლისაც უზომოდ მაღლიერი ვარ ნდობისთვის და იმ შესაძლებლობისთვის, რომ დიაკონური საზოგადოების გუნდში მემუშავა.

მადონა თბილი და გულისხმიერი, ღრმა და დახვეწილი პიროვნებაა და ადამიანების იმ იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც შეუძლიათ, გულით შეიგრძნონ სხვა ადამიანები. როდესაც ემოციები მოგუქალებათ, უცებ ჩნდება ეს გაწონასწორებული, მშვიდი ადამიანი, რომელიც იმდენ სიმშვიდეს ასხივებს, რომ თქვენც ამ სიმშვიდით გავსებთ. ის წყალობის გადაცემით ცოცხლობს, ხშირად საკუთარ მოთხოვნილებებს უკანა პლანზე აყენებს, რათა სხვებს ემსახუროს და ამით დიაკონიაში პროცესების შეუფერხებელი მუშაობა უზრუნველყოს.



მადონაზე ბევრი საუბარი შემიძლია. . . პირველ რიგში, მინდა გუნდის სახელით მთელი გულით მივულოცო მას დაბადების დღე, ვუსურვო სიხარულით სავსე დღეები, ბედნიერი ცხოვრება მისთვის ძვირფასი ადამიანების გარემოცვაში და, უპირველეს ყოვლისა, ღვთის წყალობა, რომ მომავალშიც კურთხევას წარმოადგენდეს სხვებისთვის.

ნინო ჯანაშვილი
ეკლესიის და დიაკონური საზოგადოების
თანამშრომლების სახელით

“ყველაფერი შემიძლია ჩემს განმამტკიცებელ ქრისტეში”. . .

ვილიკელთა მიმართ დაწერილი ამ წერილის (თავი 4, 13) სიტყვები ალბათ „შინ მოვლის სამსახურის“ თითოეულ წევრს ეხება. თუმცა დღეს გამორჩეულად მინდა ვახსენო **ნინა ჯანაშვილი**. ის უკვე ოთხი წელია, ჩვენთან მუშაობს. მან თავი გამოიჩინა, როგორც კეთილმა, დახმარებისთვის მუდამ მზად მყოფმა, სანდო თანამშრომელმა, ვისი იმედიც რთულ დროში შეიძლება გქონდეს. არა მხოლოდ თანამშრომლები, არამედ ბენეფიციარებიც, რომლებსაც ის ხშირად სტუმრობს, დიდი სიყვარულით საუბრობენ მასზე. შეკითხვაზე, “ნინაზე რისი თქმა შეგიძლიათ?” ისინი პასუხობენ: “ნინას ყველაფერი შეუძლია!. . . რომ იცოდეთ, როგორი მოწესრიგებული ქალია. . . ან რა პროდუქტები მოაქვს – საუკეთესო. . . ნინას მოსვლით აქაურობა ნათდება და პრობლემები თავისით გვარდება. . .” რთულია, ადამიანის აღსაწერად უკეთესი სიტყვების მოძებნა, თუმცა მე დავამატებდი: “ასე გააგრძელე, ნინა”!

შინ მოვლის სამსახური დაბადების დღეს ულოცავს ჩვენს თანამშრომელს ნინას მთელი გულით. ყველაფერი საუკეთესო შენ, ნინა! ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარხარ!

ეკლესიის და დიაკონის სახელით
მადონა ურკევიჩი

იუბილუს ბილოცავთ!

დაბადების დღეს გილოცავთ!

9 აპრილს ალა გაფინერ-ნოვოდჩენკომ 75 წლის იუბილე აღნიშნა. ალა მრავალი წელია თბილისის შერიგების ეკლესიის მრევლის წევრია. მთელი ამ დროის განმავლობაში ის არა მხოლოდ ღვთისმსახურებებს ესწრება, არამედ აქტიურად მონაწილეობს სამრევლო ცხოვრებაში. ჩვენი ეკლესიის არქივის დაარსების დღიდან ალა დიდი რუდუნებით შეუდგა ისტორიის განყოფილების შექმნას. მან „მარცვალ მარცვალ“ შეაგროვა მნიშვნელოვანი მასალა, რომელმაც შეავსო და გაამდიდრა ჩვენი არქივი. დღესდღეობით გერმანიიდან ბევრი ადამიანი მოგვმართავს ეკლესიაში თხოვნით, დავეხმაროთ ნათესავების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში. ალა უარს არავის ეუბნება. ის ეკლესიის და ქალაქის არქივში იკვლევს და ძალისხმევას არ იშურებს ინფორმაციის და საბუთების შესაგროვებლად.

ჩვენი „საპატიო არქივარიუსი“ სტუმრების მოზიდვას ცდილობს და მათი არქივში მოპატიუების შანსს არ უშვებს ხელიდან, სადაც აღფრთოვანებული უყვება საქართველოში გერმანელების ისტორიას და მასალებს აჩვენებს. ალა დიდი ენთუზიაზმით აწყობდა გამოფენებს, აგროვებდა ინფორმაციას და ექსპონატებს როგორც ეკლესიისთვის, ისე ქალაქისთვის. განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია კავკასიაში გერმანელების ჩამოსახლების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის მომზადებაში, რომელიც თბილისის შერიგების ეკლესიაში გაიმართა. ალამ ითავა გამოფენისთვის ექსპონატების შეგროვება სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშიც. თავდაუზოგავი შრომით, მიზანსწრაფულობით, რუდუნებით და მოტივაციით მან ძალიან ბევრს მიაღწია.

მთელი ეკლესიის სახელით მინდა გულითადად მივულოცო ალას დაბადების დღე, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო მას. ძვირფასო ალა, იყავი მუდამ ასეთი სიცოცხლით სავსე და აქტიური. დაე, ღმერთი იყოს შენი შემწე და მოგცეს ის ძალა, რომელიც გჭირდება.

გალინა კრომი
შერიგების ეკლესიის მრევლის წევრი



ძვირფასო რაისა, დაბადების დღეს გილოცავთ!

რუსთავის მშვიდობის ეკლესია მთელი გულით ულოცავს ჩვენი მრევლის ერთგულ წევრს რაისა გუდუგოვას 80 წლის იუბილეს! ბევრი გზა გამოვიარეთ ერთად, ბევრი ტკივილი და სიხარული გადავიტანეთ. მრავალი წლის მანძილზე ვხედავდით ჩვენს დიაკონისას რაიჩკას ავადმყოფ მრევლის წევრებთან სახლში, რომლებიც მაღლიერებით და სიხარულით ელოდებოდნენ მას. ის მუდამ ტაქტიანი და მზრუნველი იყო. ეს პირდაპირი და პატიოსანი ადამიანი, არა მხოლოდ საჭირო წამლებითა და პროდუქტებით ახარებდა მათ არამედ კარგი განწყობითაც. რაისა დიდი სითბოთი იხსენებს სამრევლოში მუშაობის დაწყებას მრევლის თავმჯდომარესთან ლარისა ბაბაევასთან და ლექტორთან ვალერი ბაბაევთან ერთად. რაისა მათი მაღლიერია რთულ წლებში გაწეული დახმარებისთვის და სამრევლოს დიაკონისობისთვის რეკომენდაციის გაწევისთვის.

დღეს რაისას შვილიშვილები საკვირაო სკოლაში დადიან, რაისა თავადაც სიამოვნებით მონაწილეობს შვილთაშვილების აღზრდაში. შვილთაშვილების ზრდის პროცესის ყურება მას ძალიან ახარებს. ძვირფასო რაისა, გისურვებთ ბევრ სიხარულს და ჯანმრთელობას. ძალიან გვიხარია, რომ კვლავაც ჩვენს გვერდით ხართ ღვთისმსახურებებზე, ქალთა კლუბში და მრევლისა და ეკლესიის ყველა ღონისძიებაზე. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

გაიანა მულქონიანი
რუსთავის მშვიდობის ეკლესიის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე



სიკვდილი მაინც არ დაარქვამთ ბარდაცვალებას...



ადამიანის გონება ვერ წვდება სიკვდილ-სიცოცხლის
ღსაიდუმლოს, ვერ ხსნის ბედისწერის სვლებს, ვერ ხვდება
ღვთის განგებულებას...

ჩვენი მრევლის წევრი **ლიანა ტარანოვა** გარდაიცვალა
78 წლის ასაკში, მან დაუვიწყარი სახე შექმნა ადამიანისა,
რომლისთვისაც ძვირფასი იყო ადამიანური ურთიერთობები.
მისი განვლილი ცხოვრება ნათელი მაგალითია გულწრფელი
მეგობრობისა, უანგარო სიკეთისა და ჭეშმარიტი სიყვარულისა.
ის აქტიური პედაგოგი-თანამშრომელი იყო ბოლნისის
სამრევლოს საკვირაო სკოლის, წლების მანძილზე ასწავლიდა
ბავშვებს გერმანულ ენას, ხშირად დგამდა პატარებთან
ერთად თოჯინების თეატრს გერმანულ ენაზე. ის, მიუხედავად
თავისი ფიზიკური შესაძლებლობებისა, იყო აქტიური
და შრომისმოყვარე ადამიანი, გამოირჩეოდა პიროვნული
თვისებებით.

მისი გაცილება ცხოვრების უკანასკნელ გზაზე ისეთივე
უბრალო იყო, როგორც თვითონ ლიანა, რამაც კიდევ ერთხელ
დაგვაფიქრა ამ წუთისოფლის დანიშნულებაზე, ამქვეყნად
ჩვენი მოსვლის არსზე.

დაე, დაუმკვიდროს მას უფალმა მართალთა, ცათა სასუფეველი,
სადაც არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა,
არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

ნაზი ლონდარიძე,
ბოლნისის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე

ნათელი ხსოვნა



2021 წლის შობამდე ცოტა ხნით ადრე ლაურა პოპოვა საავადმყოფოში კოვიდით გარდაიცვალა. ჩვენმა პასტორებმა და მრევლის წევრებმა არ იცოდნენ მისი ავადმყოფობის და გარდაცვალების შესახებ, ამიტომ მისი უკანასკნელ გზაზე გაცილებაც ვერ შევძელით. მე განსაკუთრებით დამამწუხრა ამ ამბავმა, რადგან ლაურასთან კარგი და მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა. ის 1993 წლიდან დადიოდა შერიგების ეკლესიაში. 1999 წელს მან კონფირმაცია მიიღო. ლაურა არც ერთ ღვთისმსახურებას არ დაკლებია, არც ერთ ღონისძიებას. როდესაც ერთმანეთს ზალტეცის სახლის სასადილოში ვხვდებოდით, ყოველთვის დიდხანს ვსაუბრობდით. ლაურა ძალიან კულტურული და უაღრესად განათლებული ადამიანი იყო, სასიამოვნო მოსაუბრე. მთელი სიცოცხლე გერმანული ენის პედაგოგად მუშაობდა. სამწუხაროდ, პანდემიის დაწყების დღიდან ერთმანეთს აღარ შევხვედრილვართ, რადგან ლაურა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ეკლესიაში და ზალტეცის სახლის სასადილოში ვეღარ მოდიოდა. თუმცა ტელეფონით ვაგრძელებდით კონტაქტს და ერთმანეთის თანადგომას. 2022 წლის მაისში ის 80 წლის გახდებოდა. ნათელში იყოს ლაურას - ამ შესანიშნავი ადამიანის ხსოვნა!

პასტორი ირინა სოლეი

შეტყობინება საზაფხულო ბანაკების შესახებ

ყვარლის საზაფხულო ქრისტიანულ ბანაკ „იმედ“-ში მონაწილეობის შესახებ განცხადებები მიიღება 2022 წლის 3 აპრილიდან 1 ივნისის ჩათვლით. გთხოვთ, თქვენი განაცხადი ჩააბაროთ საზაფხულო ბანაკის კომიტეტის წევრებს: ანტონ ჩახლოუს, მარინა დანილენკოს, ვლადიმერ ლიზუნოვს ან ვერონიკა კურსინას.

ბანაკებში მონაწილეობა შეუძლიათ 7–12 წლის ბავშვებს და 13–18 წლის მოზარდებს. მრევლის არაწევრი მოზარდებისთვის ასაკობრივი ზღვარია 13-15 წელი. დაგეგმილია ოთხი ნაკადი.

ბანაკის ხელმძღვანელ-პედაგოგის მოვალეობის შესრულების მსურველებმა თავიანთი განაცხადი უნდა მოგვაწოდონ ა/წ 3 აპრილიდან 22 აპრილამდე. კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2022 წელს ხელმძღვანელის დამხმარეს არჩევს თავად ხელმძღვანელ-პედაგოგი, ამიტომ, გთხოვთ, განაცხადში მიუთითოთ ხელმძღვანელის დამხმარის კანდიდატურაც. მზარეულის და მზარეულის დამხმარის მოვალეობის შესრულების მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ 3 აპრილიდან 10 მაისამდე.

განცხადებების მიღება განსორცეულდება ყოველ კვირა დღეს დღითმსახურების შექმნა.

2022 წლისათვის ბანაკებში მონაწილეობის გადასახადი ასეთია:

- თუ ბანაკის მონაწილენი რეგულარულად ესწრებიან საკვირაო სკოლის ან მოზარდთა კლუბის მეცადინეობებს (დასწრებათა მინიმუმ 60% 2021/2022 სასწავლო წლის ბოლოს), მაშინ ოჯახიდან ერთი მსურველი გადაიხდის 40 ლარს. ოჯახიდან ორი ან მეტი მსურველის შემთხვევაში, თითოეული გადაიხდის 35 ლარს.
- თუ ბანაკის მონაწილის მშობლები, ბებია ან ბაბუა ეკლესიის სამრევლოების წევრები ან სელფ-ს თანამშრომლები არიან, მაშინ ოჯახიდან ერთი მსურველი გადაიხდის 80 ლარს.
- ოჯახიდან ორი ან მეტი მსურველი გადაიხდის 60 ლარს სულზე.
- თუ ბანაკის მონაწილენი რეგულარულად არ ესწრებიან საკვირაო სკოლის ან მოზარდთა კლუბის მეცადინეობებს; თუ მათი მშობლები, ბებია ან ბაბუა ეკლესიის სამრევლოების წევრები არც სელფ-ს თანამშრომლები არ არიან, მაშინ ბანაკში მონაწილეობისათვის გადაიხდიან 140 ლარს.

საზაფხულო ბანაკების კომიტეტი

ИЗРЕЧЕНИЕ НА МАЙ

МОЛЮСЬ, ЧТОБЫ ТЫ ЗДРАВСТВОВАЛ И ПРЕУСПЕВАЛ ВО ВСЁМ, КАК ПРЕУСПЕВАЕТ ДУША ТВОЯ.

3 Послание Иоанна 2

“ГЛАВНОЕ – БЫТЬ ЗДОРОВЫМ?!”

Главное – *быть здоровым!*» – вот что я слышу снова и снова «**Г**во время визитов, особенно, от пожилых людей, которые больше, чем молодые люди, осознают свою немощь. Но то, что физическое здоровье – это еще не всё, знает, как я полагаю, каждый после жестких ограничений в связи с коронавирусом. Хотя люди остались физически здоровыми, но сколько одиноких, перенесших психические или душевные травмы или, по меньшей мере, далеко не счастливых. Исследование, проведенное в Гарварде в 2017 году, пришло к выводу, что деньги, успех и здоровье не так важны для того, чтобы быть счастливым. Счастливыми делают нас, в первую очередь, отношения. Причём, продолжительность отношений менее важна, чем их интенсивность

То, что важны и здоровье, и преуспевание, было, по всей видимости, ясно автору 3-го Послания Иоанна почти 2000 лет назад. Это понятно из замечательного приветствия или пожелания в начале его послания, которое является изречением на месяц май: «*Молюсь, чтобы ты здравствовал и преуспевал во всём, как преуспевает душа твоя*».

В немецком языке мы говорим о «теле и душе» именно в такой последовательности, но автор послания меняет это. Он ставит преуспевание (душу) выше здоровья (тела), тем самым, давая понять, что здоровье – это ещё не всё. Однако, и то, и другое связано друг с другом, и когда говорят, что человек преуспевает, тогда ему действительно хорошо.

И когда автор послания формулирует это, как пожелание, даже, как благословение, он также дает ясно понять, что не всё в наших руках, когда речь идет о преуспевании и здоровье. Разумеется, мы можем бережно и внимательно относиться к своему здоровью, но, в конце концов, здоровье – это дар. Поэтому за пожеланием в начале Послания Иоанна стоит просьба о Божьем благословении, поскольку «*всё зависит от Его благословения*».

В этом смысле я желаю всем нам – преуспевания во всех отношениях и здоровья, чтобы на душе у нас было хорошо!

Епископский визитатор Рольф Барайс

ОБРАЩЕНИЕ К ОБЩИНАМ

Евангелическо-лютеранской церкви в Грузии и на Южном Кавказе

